

საქართველოს კანონი

„შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე -----) მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს ერთობლივად მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

2. თანამშრომელს, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაუზიანდა ჯანმრთელობა, დაზიანების ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არაუმეტეს 7 000 ლარისა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 31 მარტიდან.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი